

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 1	ხმს-01-დანართი 3 უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის ტესტური დავალების ნიმუშები	გვერდების რაოდენობა: 2 ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს გადახედვა: 1 რედაქცია: 1
--	--	---

ტესტური დავალებების ნიმუშები

მოდული I: უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის საფუძვლები

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა შეიძლება იყოს სარეგისტრაციო ობიექტი?

- ა. უძრავი ან მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.
- ბ. მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ნივთი.
- გ. მხოლოდ უძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.
- დ. მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ნივთი (მათ შორის ავტოსატრანსპორტო-მექანიკური საშუალება), არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

რეგისტრაციის მიზნებისთვის, ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს უძრავ ნივთს?

- ა. შენობა-ნაგებობა.
- ბ. წიაღისეული.
- გ. მცირე არქიტექტურული ფორმები.
- დ. დროებითი ნაგებობა - ფარდული.

მოდული II: გეოდეზია-კარტოგრაფიის და ინსტრუმენტმცოდნეობის საფუძვლები

კარტოგრაფიული პროექცია არის

- ა. სფერული ზედაპირის სიბრტყეზე გაშლის მათემატიკური ხერხი.
- ბ. ბადის აგება ქალაქდზე ან ელექრომატარებელზე.
- გ. გეოგრაფიული ბადე გლობუსზე.
- დ. მერიდიანების და პარალელების გამოსახულება ელიფსოიდზე.

დონებრივი ზედაპირი არის

- ა. ზღვისა და ოკეანეების ზედაპირი პირობითად გაგრძელებული დედამიწის გარშემო ხმელეთის ქვეშ
- ბ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება ელიფსოიდზე
- გ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება გეოიდზე
- დ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება გლობუსზე

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის 1	ხმს-01-დანართი 3 უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის ტესტური დავალების ნიმუშები	გვერდების რაოდენობა: 2 ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს გადახედვა: 1 რედაქცია: 1
---	--	--

მოდული III: გეოინფორმაციული სისტემის საფუძვლები

როდის გამოიყენება მაკეტის ხედი (Layout view)?

- ა. რუკის შექმნისას.
- ბ. მონაცემთა დათვალიერებისას.
- გ. მონაცემთა რედაქტირებისა და ანალიზისას.
- დ. რუკის შექმნისას და მონაცემთა რედაქტირებისა და ანალიზისას.

რედაქტირების სეანსის დროს, რომელი ფუნქციაა "ობიექტების შექმნის" (Create Features) ჩამონათვალში?

- ა. მხოლოდ რედაქტირებადი ფუნქცია
- ბ. ArcMap-ის დოკუმენტის ფუნქციის ჩამონათვალში არსებული ყველა ფუნქცია
- გ. აქტიური ფუნქცია
- დ. მხოლოდ რედაქტირებადი ფუნქცია და აქტიური ფუნქცია